

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის
პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობა) პროექტის გზმ
ანგარიშთან დაკავშირებით

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

16 თებერვალი, 2023

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობა) პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებით.

1. გადაწყვეტილების მიღების პროცესის კანონთან შეუსაბამობა

2022 წლის 16 აგვისტოს გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. გამოქვეყნებული დოკუმენტაციის თანახმად, გადაწყვეტილების მიღებისათვის კომპანიის [განაცხადი](#) სააგენტოში 2022 წლის 9 აგვისტოს არის რეგისტრირებული. შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ განმცხადებელმა არ წარადგინა კანონით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტი ან სხვა ინფორმაცია, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სააგენტოს განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში - ანუ, 2022 წლის 30 სექტემბრამდე შეეძლო განესაზღვრა ვადა ამ ინფორმაციის წარსადგენად. 19-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით, კი, სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიეღო და გამოქვეყნებინა.

2022 წლის 14 ნოემბერს სააგენტოს ვებ-გვერდზე ახალი [განცხადება](#) გამოქვეყნდა, რომელშიც აღნიშნული იყო რომ „პროექტზე გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, 2022 წლის 11 ნოემბრის წერილის N21/6838 საფუძველზე სააგენტომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება“. ანუ, სააგენტომ გამოიყენა წარმოების შეჩერების ზემოხსენებული მექანიზმი, ოღონდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისათვის შეუსაბამო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იყო საზოგადოებისათვის მოსაზრების გამოსახატად, დოკუმენტის საჯარო განხილვაც კი ჩატარდა და მეტიც -. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილება უკვე დიდი ხნის მიღებული უნდა ყოფილიყო.

ამასთან წერილი თავისი შინაარსით ნაკლებად შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ წარმოების შეჩერების პროცედურას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წარმოების შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ კანონით სავალდებულო და/ან გადაწყვეტილებისათვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოსათხოვნად. სააგენტო კი თავის წერილში კომპანიას დოკუმენტის ხარვეზებზე უთითებს და

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მათ გამოსწორებას სთხოვს. 5 გვერდზე წარმოდგენილი შენიშვნებისა და წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებების აღწერის ლოგიკური და სამართლებრივი შედეგი უნდა ყოფილიყო განაცხადის განუხილველად დატოვება, მაგრამ სააგენტომ იქვე ორთვიანი ვადა განუსაზღვრა კომპანიას მოთხოვნილი ინფორმაციის წარსადგენად. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ განაცხადის განუხილველად დატოვება, ერთის მხრივ, დააბრუნებდა პროცესს სამართლებრივ ჩარჩოში და მეორეს მხრივ, კარგ შესაძლებლობას მისცემდა კომპანიას, დროში შეზღუდვის გარეშე, მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, სრულფასოვნად გადაემუშავებინა დოკუმენტაცია და სააგენტოსთვის ახალი განცხადებით მიემართა. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების დაცვის შესაძლებლობაც გაჩნდებოდა.

2023 წლის 16 იანვარს სააგენტომ გამოაქვეყნა ახალი „[განცხადება](#) დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესახებ“, რომელშიც წარმოდგენილი იყო ბმული თავდაპირველად გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაზე, სააგენტოს შენიშვნებზე და კომპანიის მიერ დამატებით წარდგენილ დოკუმენტაციაზე; თუმცა, განცხადების თანახმად, დაინტერესებულ საზოგადოებას შენიშვნებისა და მოსაზრებების სააგენტოსათვის წარდგენა მხოლოდ „დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით“ შეუძლია. თუკი, 16 იანვრის განცხადებით გაგრძელდა შეჩერებული ადმინისტრაციული წარმოება, დაინტერესებულ საზოგადოებას მოსაზრებების გამოთქმა სრულ დოკუმენტაციაზე უნდა შეეძლოს. მაგრამ ამისათვის, კომპანიის მიერ დაზუსტებული/შესწორებული ინფორმაცია ასახული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში და, პუნქტობრივად გაცემული პასუხების ნაცვლად, განახლებული გზშ-ის ანგარიში უნდა იყოს წარმოდგენილი განსახილველად.

ამასთან სრულიად გაუგებარია, რა ნორმას დაეყრდნო სააგენტო, თუნდაც, დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნების წარდგენის ბოლო ვადად 2023 წლის 16 თებერვლის განსაზღვრისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ RMG Copper-ის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ფორმასთან ერთად, არაერთ საკითხთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია შინაარსობრივადაც პრობლემურია და სააგენტოსთვის მხოლოდ ფორმალური პასუხების გაცემას ემსახურება.

2. შემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე

დაგეგმილი საქმიანობით ადგილობრივ მოსახლეობაზე მოსალოდნელი შემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი პროექტის გზშ-ის ანგარიშში. ამას ეხებოდა ჩვენი შენიშვნაც, რადგანაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური შემოქმედების შესახებ, ასევე, ინფორმაციას ამ უარყოფითი შემოქმედების თავიდან არიდების, შემცირებისა და შერბილების ღონისძიებათა შესახებ.

საპასუხოდ, კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, რომელშიც მოცემულია დამატებითი ინფორმაცია, კომპანია ზეპირად ამტკიცებს, რომ გზშ-ის ანგარიშში განხილულია, როგორც სოციალური შემოქმედების საკითხები, ისე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენის შემცირებისა და თავიდან არიდებისთვის გასატარებელი ღონისძიებები. თუმცა, კომპანია ვერ მიუთითებს ვერცერთ კონკრეტულ თავზე, სადაც აღნიშნულ ინფორმაციას შეიძლება შევხვდეთ. გზშ-ის ანგარიშის ხელახალი გადახედვის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ კომპანიას სოციალურ გარემოზე შემოქმედება შესწავლილი არ აქვს.

ერთადერთი კონკრეტული ადგილი, რომელზეც კომპანია მიუთითებს, არის გზშ-ის ანგარიშის მე-4 დანართი - ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა (თავი 4. მოსალოდნელი საგანგებო ვითარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები, არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ანალიზი და

შეფასება ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული საქმიანობების მიმდინარეობის პროცესებში პრევენციული ღონისძიებები გვ 56-114; თავი 14. კუდსაცავის დამბის გარღვევა; გვ.180-202); კომპანია აცხადებს, რომ მისი მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობით ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი შემოქმედება (რისკები) და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ავარიული სიტუაციების მართვის გეგმის აღნიშნულ თავებშია მოცემული.

ეს პასუხი, რა თქმა უნდა, არაა მისაღები. ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა არის გზშ-ის ანგარიშს თანდართული დოკუმენტი, რომელშიც ფასდება ავარიული სიტუაციების რისკები, მოიცავს ამ რისკების თავიდან არიდების ღონისძიებებს და გაუთვალისწინებელი, საგანგებო სიტუაციების დროს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შემცირებისა და შერბილების საშუალებებს. აღნიშნულ დოკუმენტს არაფერი აქვს საერთო დაგეგმილი პროექტის განხორციელებით მოსალოდნელ შემოქმედებასთან სოციალურ გარემოზე, რადგანაც ეს უკანასკნელი გულისხმობს შემოქმედებას, რომელიც შესაძლოა არსებობდეს პროექტის განხორციელების და ექსპლუატაციის პროცესში და არა საგანგებო სიტუაციების დროს.

ამგვარად, კომპანიის მხრიდან, სოციალური შემოქმედების შეფასებაზე საუბრისას, ავარიული სიტუაციების მართვის გეგმაზე მითითება სრულიად აბსურდულია და ამტკიცებს იმას, რომ გზშ-ის პროცესში მოსახლეობაზე შემოქმედება შეფასებული არ ყოფილა.

3. დაგეგმილი ცვლილებები

ჩვენი კიდევ ერთი შენიშვნა შეეხებოდა გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილი დაგეგმილი ცვლილებების საკითხს; კერძოდ, დაუშვებლად მივიჩნიეთ ის, რომ სკოპინგის ეტაპზე წარმოდგენილი ანგარიში მხოლოდ ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხებოდა, მაშინ, როცა გზშ-ის ანგარიში დაგეგმილ საქმიანობებში გულისხმობს არამარტო ახალი კუდსაცავის მშენებლობას, არამედ საწარმოს წარმადობის გაზრდას და ამისთვის საჭირო ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ანუ გზშ უტარდება სხვა დამატებით საქმიანობებს, რომლებიც განხილული არ იყო სკოპინგის ეტაპზე.

ამ შენიშვნის საპასუხოდ, კომპანიამ აღნიშნა (დანართი 1. ინფორმაცია შენიშვნებზე: 21.3), რომ სკოპინგის ანგარიშში განხილულია, როგორც ახალი კუდსაცავის, აგრეთვე წარმადობის ზრდის, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობისა და ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის საკითხები და ა.შ; თუმცა, აღნიშნული მტკიცება არ შეესაბამება სიმართლეს. სკოპინგის ანგარიშში განხილული იყო მხოლოდ ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა/ექსპლუატაცია და არ ყოფილა შესწავლილი სხვა დაგეგმილი საქმიანობები და მათი მოსალოდნელი შემოქმედება გარემოზე. სკოპინგის ანგარიშში მხოლოდ ერთ ადგილას ვხვდებით ჩანაწერს, სადაც აღნიშულია, რომ იგეგმება არსებული საწარმოს წარმადობის გაზრდა 3 მლნ ტონამდე წელიწადში, ხოლო წარმადობის დაგეგმილი ზრდის შესახებ ანგარიშში სხვა ინფორმაცია წარმოდგენილი არაა; დაგეგმილი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობისა და ავტოგასამართი სადგურის შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაციაა მოცემული მიმდინარე საქმიანობის თავში (4.1); თუმცა, არაა ნახსენები, რომ დაგეგმილი საქმიანობები, ახალი კუდსაცავის პროექტის გარემოზე შემოქმედების შეფასების ნაწილია.

დაგეგმილი საქმიანობების შესახებ ინფორმაცია გაურკვევლადაა მოცემული გზშ-ის ანგარიშშიც. მართალია, კომპანია ამტკიცებს, რომ ანგარიშში დაგეგმილი ყველა ცვლილებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სრულიად გასაგებად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი, თუმცა არც აღნიშნული შეესაბამება სიმართლეს. ყველა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა თავშია გაფანტული და ანგარიშში ვერ ვხვდებით თუნდაც ერთ თავს, სადაც გასაგებადაა ნათქვამი კონკრეტულად რა ცვლილებების განხორციელება, რა სანის ინფრასტრუქტურის მოწყობა იგეგმება და რას უტარდება გზშ.

4. არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდა

RMG Copper-ის არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის ზრდასთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშში ვხვდებით მხოლოდ შემდეგ ჩანაწერს - „არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის გადაიარაღების/მოდერნიზაციის დასრულების შემდეგ კომპანიას დაგეგმილი აქვს ბნელი ხევის და მუშევანის საბადოებიდან, ასევე სხვა კარიერებიდან და საბადოებიდან მოპოვებული მსგავსი ტიპის მადნების გადამუშავება, საწარმოში მოქმედი ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად და გადამუშავების ტექნოლოგიის (ფლოტაცია) შეუცვლელად. აღნიშნული ტექნიკური ცვლილებები ასევე იძლევა საწარმოს წლიური წარმადობის ზრდის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული გამამდიდრებელი საწარმოს წარმადობა გაიზრდება 3.00 მლნ. ტონამდე წელიწადში.“ წარმადობის გაზრდის შესახებ ამ ბუნდოვანი ინფორმაციის გათვალისწინებით, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ განცხადებით (RMG Copper-ის პასუხები - პუნქტი 13) ასევე მოითხოვა, რომ კომპანიას წარმოედგინა დაზუსტებული და დეტალური ინფორმაცია არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნიკურ ცვლილებებთან და, შესაბამისად, წარმადობის გაზრდასა და მოსალოდნელ შემოქმედებასთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია წარმადობის გაზრდისა და მისგან მოსალოდნელი შემოქმედების შესახებ. გაცემულ პასუხში RMG Copper-ი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ტექნიკური გადაიარაღების შემდეგ საწარმოში წარმადობის გაზრდის პოტენციალი აქამდეც არსებობდა და რომ გზშ-ის დოკუმენტში გაცხადებული გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდის აუცილებლობა დადგა არა იმიტომ, რომ საწარმოს წარმადობამ შექმნა ამის შესაძლებლობა, არამედ იმიტომ, რომ კომპანიას გაუჩნდა დამატებითი რესურსები სხვადასხვა საბადოზე დამტკიცებული ახალი მარაგების სახით და მათი ტექნოლოგიური გამდიდრების საშუალება.

ამ ბუნდოვანი პასუხის გარდა, RMG Copper-ი არ იძლევა სხვა დეტალური სახის ინფორმაციას წარმადობის გაზრდის მოცულობისა, თუ მისგან გამომწვეული შემოქმედების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მწვანე ალტერნატივას მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გაგზავნილ შენიშვნებშიც ერთ-ერთი საკითხი სწორედ წარმადობის საკითხს უკავშირდებოდა. წარმადობის გაზრდის შესახებ დეტალურ ინფორმაციასთან ერთად, ჩვენ მოვითხოვდით კომპანიას დაეზუსტებინა წლიური წარმადობის ზრდის მოცულობაც, რადგანაც გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არაზუსტი იყო, კერძოდ: ცხრილში 4.1.1 - ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ - მოცემულია, რომ ფაბრიკის წლიური წარმადობა ამჟამად არის 3 მლნ. ტ/წ; მე-4 თავში კი ნათქვამია, რომ საწარმოს წარმადობა გაიზრდება 3.00 მლნ ტონამდე; შესაბამისად, გაუგებარია, საწარმოს წლიური წარმადობა დამატებით 3.00 მლნ ტონით გაიზრდება, ანუ გაორმაგდება, თუ ამჟამინდელი მოცულობაა არასწორად მოცემული და გაზრდის შემდეგ შეადგენს წარმადობა 3.00 მლნ ტ/წ-ს.

წარმადობის ზრდის შესახებ ჩვენს შემოადინებულ შენიშვნაზე პასუხად, კომპანია მიუთითებს გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გაცემულ პასუხზე (პუნქტი 13, გვ 19), რომელიც შემოთ უკვე განვიხილეთ და რომელიც ვერ სცემს პასუხს ვერც სააგენტოს მოთხოვნას და ვერც ჩვენს შენიშვნას.

5. კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადისა და საპროექტო დამბის განვითარება/ამაღლების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კომპანიას, ასევე, მოსთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადისა და საპროექტო დამბის განვითარება/ამაღლების შესაძლებლობის შესახებ; თუმცა, კომპანია ვერც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს და პასუხად კვლავ შეუსაბამო, ბუნდოვან განმარტებას იძლევა.

კომპანია კვლავ აცხადებს, რომ დამბის მაქსიმალური ნიშნული (844მ) საკმარისია წარმოების პირველი სამი წლის განმავლობაში წარმოქმნილი კუდების წარმოებისთვის; თუმცა, იმასაც ამბობს, რომ დამბის ექსპლუატაციის ვადა შეიძლება გაიზარდოს, თუ წლიურად გადამუშავებული მადნის მოცულობა ნაკლები

იქნება მაქსიმალური წარმადობით გათვალისწინებულ მოცულობაზე. აქ კომპანია კვლავ ვერ სცემს პასუხს მთავარ შეკითხვას - რა შეიძლება იყოს დამბის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა.

RMG Copper-ი ვერც დაგეგმილი პიონერული დამბის განვითარების/ამაღლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით იძლევა პასუხს და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ - „პიონერული დამბის ამაღლების შემთხვევაში შესაძლებელია კუდსაცავის მდგრადი და უსაფრთხო ექსპლუატაცია ხანგრძლივადიან პერსპექტივაში.“ თუმცა, აქვე ამბობს, რომ - „ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს დამბის სრული პროექტი და შეუძლებელია ზუსტი საბოლოო, მაქსიმალური ნიშნულის განსაზღვრა. პიონერული დამბის ამაღლების შემთხვევაში, ექსპლუატაციის სავარაუდო მაქსიმალური ვადა რელიეფის და წარმოების დღევანდელი მასშტაბების გათვალისწინებით შეიძლება იყოს 30-35 წელი.

RMG Copper-ის მხრიდან მსგავსი ბუნდოვანი პასუხის გაცემა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა დაგეგმილი დამბის პროექტის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა და დამბის სამომავლო განვითარების შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, მიუღებელია და არ შეიძლება დამაკმაყოფილებელი იყოს გარემოს ეროვნული სააგენტოსთვისაც. დაუშვებელია, რომ კომპანია დაგეგმილი დამბის პროექტის გარემოზე ზემოქმედებას ისე აფასებდეს, რომ არ ჰქონდეს მისი სრული პროექტი და ისიც კი არ იცოდეს, რამდენი წელი შეიძლება იყოს დამბის ფუნქციონირების მაქსიმალური ვადა და რა დონემდე არის დამბის სამომავლო განვითარება შესაძლებელი.

6. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიების გასუფთავება მერქნიანი მცენარეებისგან

გარემოს ეროვნული სააგენტო (RMG Copper-ის პასუხები - პუნქტი 5) აღნიშნავს, რომ შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში აღნიშნული ჩანაწერი - „პროექტის ზემოქმედების კუდსაცავის არეალში მხოლოდ ის ტერიტორიები უნდა გასუფთავდეს მერქნიანი მცენარეებისგან, რომლებზეც ნებართვა აქვს გაცემული ქვემო ქართლის სატყეო სამსახურს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ზიანი ადგილობრივ ჰაბიტატებზე“ გაურკვეველია და ითხოვს მის დაზუსტებას. საპასუხოდ, კომპანია განმარტავს, რომ ამ ღონისძიებაში იგულისხმება საპროექტო კუდსაცავის არეალში მხოლოდ იმ ტერიტორიების გასუფთავება მერქნიანი მცენარეებისგან, რომლებზეც შეწყვეტილი იქნება ტყის სტატუსი, ან გაცემულია ეროვნული სატყეო სააგენტოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების ბრძანება. კომპანიის მიერ წარმოდგენილი ეს განმარტება, აზრს მოკლებულია და ვერ პასუხობს სააგენტოს მოთხოვნას, ვინაიდან, კომპანიას ისედაც არ აქვს უფლება ტყე გაჩეხოს იმ ადგილას, სადაც კანონით არ აქვს ამის გაკეთების უფლება მინიჭებული. შესაბამისად, აღნიშნული ქმედება ვერ იქნება მიჩნეული შემარბილებელ ღონისძიებად და, სავარაუდოდ, გარემოს ეროვნული სააგენტო სწორედ ამას გულისხმობდა, როცა მოითხოვა ჩანაწერის დაზუსტება.

7. ქიმიური გამწმენდი ნაგებობა

RMG Copper-ს არც გზმ-ის ანგარიშში და არც დამატებით ინფორმაციაში არ აქვს წარმოდგენილი ქიმიური გამწმენდი ნაგებობის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია. მართალია, კომპანია პასუხობს გარემოს ეროვნული სააგენტოს მოთხოვნას ისეთი მონაცემების წარმოდგენის შესახებ, როგორცაა ნაგებობის კოორდინატები, მანძილი უახლოეს სახლამდე და მდინარემდე და ა.შ. თუმცა, მას კვლავ არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობის პროექტი, რაც, დამბის პროექტის არქონის მსგავსად, დაუშვებელია. RMG Copper-ი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე ნაგებობის პროექტირებასა და მშენებლობაზე ტენდერია გამოცხადებული და კომპანია მხოლოდ გამარჯვებულის გამოვლენისა და პროექტირების შემდეგ მიმართავს გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი სანებართვო პროცედურების გასავლელად. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, რადგანაც ქიმიური გამწმენდი ნაგებობა დაგეგმილი კუდსაცავის პროექტის ნაწილია (ახალი კუდსაცავის დამბიდან გამოსულმა წყალმა ქიმიურ გამწმენდ ნაგებობაში უნდა გაიაროს მდინარეში ჩაშვებამდე), შესაბამისად, ნაგებობის დეტალური პროექტი გზმ-ის პროცედურის ნაწილი უნდა იყოს. გარდა

ამისა, გამწმენდი ნაგებობის GIS კოორდინატები SHP ფაილების მითითებით, არ იძებნება SHP ფაილების დანართში.

8. ბიომრავალფეროვნების საველე კვლევა

გარემოს ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით, უნდა ჩატარებულიყო ბიომრავალფეროვნების დამატებითი დეტალური საველე კვლევა (მათ შორის ზამთრის სეზონზე), რადგანაც მანამდე ჩატარებული საველე კვლევა მოიცავდა მხოლოდ ერთ სეზონს (2021 წლის 3-14 ივლისი), რაც სააგენტოს თქმით, არაა საკმარისი აღნიშნული პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად.

მოთხოვნაზე პასუხად, დანართის სახით წარმოდგენილია ფლორისტული და ფაუნისტური მრავალფეროვნების განმეორებითი კვლევის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კვლევა, რომელიც თითქოსდა ორ სეზონზე - შემოდგომასა და ზამთარშია ჩატარებული, რეალურად 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა, ანუ ერთ პერიოდში, როცა ერთმანეთისგან განსხვავებული გარემო-პირობები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ სახეობების ქცევასა თუ გავრცელებაზე, ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა. წარმოდგენილ ანგარიშში არც ისაა ნათქვამი, რამდენი საველე გასვლა მოეწყო და ნოემბრისა და დეკემბრის თვეების რომელ კონკრეტულ რიცხვებში, შესაბამისად, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ აღნიშნულმა კვლევამ წელიწადის ორი სეზონი მოიცვა.

ამასთან, როგორც გზშ-ის ანგარიშითაა ცნობილი, პირველადი ფონური საველე კვლევა მხოლოდ ზაფხულის სეზონზე (3-14 ივლისი) იყო ჩატარებული, შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების სრულყოფილი შესწავლისთვის, საველე კვლევის ჩატარება არამარტო შემოდგომასა და ზამთარში, არამედ, გაზაფხულზეც აუცილებელია.

გარდა ამისა, ბიომრავალფეროვნების დამატებითი კვლევის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ წყლის ფაუნის კვლევა პროექტის ფარგლებში ზამთრის სეზონზე პირველად ჩატარდა. შესაბამისად, გამოდის, რომ წყლის ბიომრავალფეროვნება მხოლოდ ერთ სეზონზე იქნა შესწავლილი, რაც გაუმართლებელია, თავად სააგენტოს მოთხოვნის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, საველე კვლევის ჩატარება მხოლოდ ერთ სეზონზე არაა საკმარისი. გარდა ამისა, შეუძლებელია ზამთრის პერიოდში წყლის ბიომრავალფეროვნების კვლევით სრულყოფილი და ზუსტი მონაცემების შეგროვება, რადგანაც ამ პერიოდში მდინარეები წყლამცირებით გამოირჩევიან. დოკუმენტის მიხედვით, საველე კვლევა ჩატარდა საპროექტო დერეფანში არსებული მშრალი ხევის დელეშიც იქტიოფაუნის საარსებო გარემოს და თევზების სახეობის არსებობის პრეცედენტის აღმოჩენის მიზნით; კვლევის ფარგლებში ვერცერთი თევზის სახეობა ვერ იქნა დაჭერილი, რაც ბუნებრივია, რადგანაც მშრალი ხეების მთავარი მახასიათებელიც ისაა, რომ იქ დროებითი ნაკადები მოედინება წყალუხვობის პერიოდებში და არა ზამთრის სეზონზე; შესაბამისად, აღნიშნულ ხევში საველე კვლევის ჩატარება მხოლოდ ზამთრის სეზონზე, შეუძლებელია რელევანტური შედეგის მომტანი იყოს.

გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით, ფლორისტული და ფაუნისტური მონაცემების შეგროვების წერტილები მდებარეობს მხოლოდ კუდსაცავისა და მილსადენის არეალებში. კვლევები არაა ჩატარებული კუდსაცავთან მისასვლელი გზების დერეფნებში, თუმცა, თავად სააგენტოს მოთხოვნა იყო (RMG Copper-ის პასუხები; პუნქტი 3), კომპანიას შეეფასებინა დაგეგმილი მისასვლელი გზების მოწყობის ზემოქმედება გარემოზე.

ამგვარად, იმის გათვალისწინებით, რომ RMG Copper-ს არ აქვს წარმოდგენილი სრული და დეტალური ინფორმაცია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოთხოვნილ არაერთ საკითხზე, მიგვაჩნია, რომ კვლავ არსებობს RMG Copper-ის განცხადების განუხილველად დატოვების მყარი საფუძველი.